დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება

განკარგულება:**g-109. 109242122**

თარიღი:**30/07/2024**

დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების ,,სქაიტელისათვის''(გარე განათების ბოძების ნაწილი) სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' 61-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის, 122-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ'' ქვეპუნქტის, მე-2-ე პუნქტის, 26-ე მუხლის, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის 15/07/2024, №108-1082419748 წერილისა და სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის 01 ივლისის №5003882224 წერილის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, გადასცეს ,,სქაიტელს'', მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დმანისის მუნიციპალიტეტში მდებარე გარე განათების 147 ცალ ბოძზე მიწის ზედაპირიდან 5 მეტრის სიმაღლეზე, ბოძის ნაწილი (წერტილი), ოპტიკურ-ბოჭკოვნი ინტერნეტის მიწოდება-მომსახურების მიზნით, 5 (ხუთი) წლის ვადით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით, საიჯარო ღირებულებით 588 (ხუთასოთხმოცდარვა) ლარი.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი სულხან საბას ქ. N113).

პაატა ყულიაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი